პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ნაკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 სამშაბათი, 6 აპრილი, 1943 წ. № 79 (6704). ფასი 20 კაპ.

წითელი არმიის სასახელო გამარჯვებანი

1943 წლის 31 მარტს წითელმა არმიამ დაამთავრა გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ წარმოებული ზამთრის კამპანია.

საბჭოთა ჯარები 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდნენ უაღრესად დაძაბულ შეტევას. წითელი არმიის შეტევის განმავლობაში მტრის არმიებმა მძიმე სამხედრო დამარცხება განიცადეს. ფრონტის თითქმის მთელს უდიდეს სივრცეზე ინიციატივა ჩვენი ჯარების ხელში იყო. ჰიტლერული არმიები სისხლისაგან იცლებოდნენ, კოლოსალურ ზარალს ნახულობდნენ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ და საბჭოთა მეომრების დარტყმების შედეგად იძულებული იყვნენ დაეხიათ უფრო და უფრო შორს—დასავლეთისაკენ.

ძნელია ზედმეტად შეაფასო ზამთრის კამპანიის დროს წითელი არმიის მიერ მოპოვებული წარმატებანი. მთელი მსოფლიო სულგანაცული ადევნებდა თვალს გიგანტური ბრძოლის მსვლელობას სტალინგრადის კედლებთან. ახორციელებდნენ რა სტალინურ სტრატეგიულ გეგმას, საბჭოთა ჯარებმა სასტიკად გაანადგურეს მტრის ურდოები აქ, ვოლგის ნაპირებთან, გერმანელებმა იგემეს ომების ისტორიაში უდიდესი დამარცხება.

გამანადგურებელი დარტყმები დაატყდა მტერს დონის შუაწელისა და ვორონეჟის რაიონში, დემიანსკის რაიონში. წითელმა არმიამ მძლავრი გატარნვით გაარღვია ლენინგრადის ბლოკადა. ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარების შეტევამ გამოიწვია ლიკვიდაცია მოწინააღმდეგის შორს აღმოსავლეთისაკენ წინწამოწეული პლაცდარმებისა, რომლებიც ეყრდნობოდნენ რჟევის, გჟატსკისა და ვიაზმის გამაგრებულ რაიონებს. ჩრდილოეთ კავკასიის მთები და ველები, ყუბანის თვალუწვდენი მინდვრები გერმანელ ფაშისტთა პოლკებისა და დივიზიების სასაფლაო გახდა.

მძიმე პირობებში ტარდებოდა წითელი არმიის შეტევითი ოპერაციები. საბჭოთა ჯარები მიიწევდნენ წინ ქარიშხალსა და ქარბუქში, ნისლსა და ავდარში, შორისძიების წყურვილით, დაუცხრომელი საბრძოლო აღფრთოვანებით აღსავსე საბჭოთა ხალხის შვილები დაუღალავად ანადგურებდნენ საძულველ მტერს, მიერეკებოდნენ მას დასავლეთისაკენ.

ზამთრის უძნელეს პირობებში წითელმა არმიამ წაიწია დასავლეთისაკენ ზოგიერთ უბანზე 600-700 კილომეტრამდე. საბჭოთა ქვეყნის წითელ დროშა ათობით დიდს ქალაქს ფრიალებს, მათ შორის საოლქო და სამხარეო ცენტრებზე, მრავალ ათას სოფელზე, ხუტორსა და დაბაზე.

მილიონობით საბჭოთა მოქალაქე განთავისუფლებულია ფაშისტური უღლისაგან. მთლიანად გაწმენდილია მტრისაგან სტავროპოლის მხარე, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალკარეთის და ყალმუხთა ავტონომიური რესპუბლიკები, ვორონეჟისა და სტალინგრადის ოლქები, ჩერქეზეთის, ყარაჩაისა და ადიღეს ავტონომიური ოლქები, თითქმის მთლიანად—კრასნოდარის მხარე, როსტოვისა და კურსკის ოლქები, ვოროშილოვგრადის, სმოლენსკისა და ორიოლის ოლქების მნიშვნელოვანი ნაწილი.

480.000 კვადრატული კილომეტრი საბჭოთა მიწა-წყალი გაათავისუფლეს ჩვენმა ჯარებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებს უდიდესი ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ნოყიერი მიწები ყუბანისა და სტავროპოლისა, ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის ცენტრალური ოლქებისა, რომლებიც გაწმენდილი არიან მტრისაგან, კვლავ გაუწევენ სამსახურს ჩვენს ქვეყანას. კავკასიურმა ნავთმა ჰპოვა პირდაპირი გზა მოსკოვისა და ფრონტისაკენ. იწყება მაიკოპის ნავთის საბადოთა აღდგენითი სამუშაოები. გაიწმინდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ რკინიგზისა და წყლის უმნიშვნელოვანესი მაგისტრალები, რომლებიც სამხრეთს უკავშირებს ჩვენს ქვეყნის ცენტრს.

ზამთრის კამპანიის შედეგად წითელმა არმიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია და გერმანელ ფაშისტთა ჯარებზე გამარჯვებას მტკიცე საძირკველი ჩაუყარა.

გუშინდელ „პრავდაში“ გამოქვეყნებულია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა წითელი არმიის ზამთრის კამპანიის შედეგების შესახებ, სადაც მოყვანილია ციფრები გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზარალისა ოთხი თვისა და ოცი დღის განმავლობაში. მტერმა უდიდესი ზარალი ნახა. მარტო მოკლულთა სახით მან 850.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა; ტყვედ წამოყვანილია 343.525 კაცი.

ჟეშმარიტად კოლოსალურია დავლა, როძელიც წითელმა არმიამ წამოიღო. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 1.490 თვითმფრინავი, 4.670 ტანკი, 15.860 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 9.835 ნაღმსატყორცნი, 30.000-ზე მეტი ტყვიამფრქვევი და დიდძალი სხვადასხვა საჭურველი და სამხედრო ქონება.

დიდი და სერიოზულია წითელი არმიის გამარჯვებანი. მტერმა უდიდესი დამარცხება განიცადა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა მივცემოდეთ მავნე თავის მოტყუებას და ჩაგვეთვალა, რომ მტერი უკვე დამარცხებულია. ასე ფიქრი იმას ნიშნავს, რომ არ შეაფასო მტრის ძალები და ავანტიურიზმს მიეცე. „ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან ჯერ კიდევ არ დამთავრებულა,—იგი მხოლოდ ახლა ფართოვდება და ჩაღდება“. **(სტალინი).** წითელ არმიას მძიმე ბრძოლა მოელის ცბიერ და მკაცრ მტერთან, რომელიც მთელი თავისი ძალებისა და ვასალური სახელმწიფოების ყველა რეზერვების მობილიზაციას ახდენს.

ჰიტლერელთა ხროვას ახლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოჰყავს ათობით ახალი დივიზიები, რომლებიც დასავლეთ ევროპის რაიონებიდან მოხსნეს, იგი სისხლისაგან სწრეტს ოკუპირებულ ქვეყნებს და ცდილობს მიიღოს მათგან მუშახელის კონტინგენტები არმიაში გაწვეულ გერმანელთა შესაცვლელად. გერმანელთა პოლკები და დივიზიები ივსება სამხედრო საწარმოებიდან მოხსნილი მუშებით. ფაშისტური ქარხნები გაცხარებით ცდილობენ საჭურვლის გამოშვების გადიდებას.

ჩვენ მკაცრი ბრძოლებისა და მძიმე განსაცდელის დღეები მოგველის. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლა მოითხოვს დროს, დიდ მსხვერპლს, ფრონტისა და ზურგის მთელი ძალების დაძაბვას, მთელ ჩვენს შესაძლებლობათა მობილიზაციას. გერმანელები ახლა ცდილობენ გამაგრდნენ თავდაცვითს ზღუდეებზე, მოაქვთ და კვლავ მოიტანენ ახალ იერიშებს, რომელთა მოგერიება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი მეომრების უაღრესი მედგრობით, მებრძოლებისა და მეთაურების ურყევი სიმტკიცით, მათი სამხედრო ოსტატობის განუწყვეტელი ზრდით, ზურგის მიერ ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივ გაძლიერებით.

საბჭოთა ზურგი უდიდეს ზრუნვას იჩენს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლევამოსილების შემდგომი გაძლიერებისათვის. ტამბოველ კოლმეურნეთა თაოსნობის მიხედვით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა სახსრების შეგროვება ტანკებისა, თვითმფრინავებისა და სხვა სახის საჭურვლის ასაგებად წითელი არმიისათვის. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ცნობაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ 1942 წლის 9 დეკემბრიდან 1943 წლის 31 მარტამდე კოლმეურნეებმა და მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინტელიგენტებმა, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა, პარტიზანმა კაცებმა და ქალებმა შეიტანეს წითელი არმიის ფონდში 7.041.320.000 მანეთი, ძვირფასი ნივთები და დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. წითელი არმიის ფონდში სახსრების შეგროვება ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ საბჭოთა ხალხი მზად არის მისცეს ფრონტს ყოველივე ის, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის.

წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მტკიცედ ახსოვთ უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანება. ჩვენი მეომრები დაუღალავად უნდა აუმჯობესებდნენ თავიანთ სამხედრო ცოდნას, განამტკიცებდნენ დისციპლინას, წესრიგსა და ორგანიზებულობას საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ყველა ნაწილსა და ქვეგანყოფაში.

საბჭოთა პოლკები და დივიზიები კვლავ განაგრძობენ მტრის ჯარებისადმი დარტყმას, არ მისცემენ მტერს თავდაცვითს ზღუდეებზე გამაგრების საშუალებას. გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურგში კვლავაც განვითარდება პარტიზანული მოძრაობა, რომელიც წითელი არმიის ძლევამოსილ დახმარებას წარმოადგენს.

წითელი არმიის ზამთრის კამპანია დამთავრდა. დაუღალავად ვამზადოთ მტერზე ახალი დარტყმები.

„პრავდის“ მოწინავე, 4/IV.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს VII სესია

გუშინ, საღამოს შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს VII სესია.

სესიამ განიხილა ორი საკითხი: ქალაქის კომუნალურ საწარმოთა მუშაობის შესახებ და ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა დეპუტატი არჩილ ჭურდიანი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: **თევზაძემ, ბახტაძემ, ჩომახიძემ, სარჭისოვმა, შარა-შენიძემ, კანდელაკმა, გოგოძემ, სანიკიძემ** და **მარშანიამ.**

სესიამ დღის წესრიგის პირველი საკითხის გარშემო მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებები ქალაქის კომუნალური მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოვიდა დეპუტატი ა. კვაჭაძე.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სესიამ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილისა და კომუნალური მეურნეობის გამგის მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატი გვიჩია და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და კომუნალური განყოფილების გამგედ დამტკიცა დეპუტატი **ა. ჭურდიანი.**

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ სესიამ დამტკიცა დეპუტატი **მ. მემარნიშვილი,** ხოლო საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და სამხედრო მსახურთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და ყოფა-ცხოვრებითი მოწყობის განყოფილების გამგედ ამხ. **ნ. ციცაგი.**

საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ სესიამ დამტკიცა ამხ. **რ. კაჭარავა;** ამხ. მარიამიძე, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, სესიამ გაათავისუფლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან ჯა ამ თანამდებობაზე დამტკიცა ამხ. **ლალაშვილი.**

ამით სესიის მუშაობა დამთავრდა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 აპრილის დილის ცნობა

3 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 შენაერთის არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ჩაახშეს ორი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე მოგვრიებულ იქნა მტრის ცდა ეწარმოებინა ბრძოლით დაზვერვა. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ და ნაწილობრივ მოსპობილ იქნენ.

* * *

ბელგოროდის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში, მოწინააღმდეგე უშედეგოდ შეეცადა ხელთ ეგდო ერთი დასახლებული პუნქტი. ჰიტლერელები ორჯერ ვადმოვიდნენ შეტევაზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ, ამასთან მათ მოკლულთა სახით 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს. მეზობელ უბანზე ყაზახი-წითელარმიელი ამხ. აბდურახმანოვი მზვერავთა ჯგუფთან ერთად მიეხოხდა გერმანელთა მიერ დაკავებულ შენობასთან და პირველი შეიჭრა მასში. მზვერავებმა გაჟლიტეს სახლში ჩასაფრებული ყველა ჰიტლერელი და დაიკავეს ხელსაყრელი პოზიცია.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენი ჯარები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 5 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე ზედიზედ მოტანილი იერიში და შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. გაჟლეტილია გერმანელთა 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. დამწვარი და დაზიანებულია მტრის 8 ტანკი.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში 5 ქვეგანაყოფის მებრძოლები მოულოდნელად დაესხნენ თავს გერმანელებს, რომლებიც თავდაცვითს ნაგებობებს აგებდნენ. ხელჩართულ ბრძოლაში გაჟლეტილია მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ ჰიტლერელთა 3 ტყვიამფრქვევი და შაშხანები. სნაიპერებმა ამხ. ჩერეპკოვმა, მოლოკოვსკიმ და ბატუნმა გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 19 ჯარისკაცი და 3 ოფიცერი. სნაიპერმა ამხ. ტოროპოვმა 5 გერმანელი მოჰკლა.

* * *

კალინინელ პარტიზანთა ჯგუფმა 19-დან 25 მარტამდე ააფეთქა რკინიგზის ორი ხიდი მტრის ზურგში. ამ ოპერაციის დროს გაჟლეტილია გერმანელთა 17 ჯარისკაცი, რომლებიც ხიდებს იცავდნენ. სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის სარკინიგზო ეშელონი. დაიმსხვრა ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ცმოლენსკის ოლქის სოფელ ტარაკანოვოს მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მხეცობის შესახებ: „ბევრი ტანჯვა და დაცინება განიცადეთ ჩვენს სოფელში გერმანელთა ბატონობის განმავლობაში. ჰიტლერელებმა სახლებიდან გამოგვყარეს. მოსახლეობა ოც-ოცი კაცისაგან შემდგარი ჯგუფებით ცხოვრობდა ცივ სარდაფებში, საცეხველებში და აბანოებში. გერმანელებმა ჩამოგვართვეს პური, კარტოფილი, თბილი ტანსაცმელი, წაგვართვეს ყოველივე ის, რასაც თვალი შეაყარეს. მოსახლეობა იკვებებოდა ორმოებში გადამალული ნარჩენებით, ცხენის ლუშით, მაგრამ ლუშის წაღებაც მხოლოდ გერმანელთა ნებართვით შეიძლებოდა. როდესაც წითელი არმიის დარტყმის შედეგად ჰიტლერელი ბანდიტები გარბოდნენ, მათ 24 სახლი დაწვეს. სოფელში მხოლოდ 6 სახლი დარჩა, რომლებიც აგრეთვე სრულიად გააფუჭეს. 70 მცხოვრები გერმანელებმა გარეკეს საკატორღო სამუშაოზე გერმანიაში, დედებს შვილები მოსწყვიტეს. დარჩენილი ბავშვები გერმანელ ყაჩაღთა დანაშაულის შედეგად ახლა ობლები არიან“. აქტს ხელს აწერენ სოფლის მცხოვრებლები: ტარაკანოვი, ლაბანოვი, დიაკოვი, ლაბანოვა და სხვები.

* * *

ესენზე (გერმანია) ინგლისის ავიაციის თავდასხმის დროს ქალაქში მოხდა შეტაკება უცხოელ მუშებსა და გერმანიის პოლიციას შორის. მანქანათმშენებელი ქარხნის დიდი საამქროს მუშებმა, ისარგებლეს რა არეულობით, გამორთეს სინათლე, დაამტვრიეს დაზგები და გაიქცნენ ქარხნიდან. მეორე სამხედრო საწარმოში გერმანელმა პოლიციელებმა აიძულეს უცხოელი მუშები ჩაეცროთ ხანძარი, რომელიც რამდენიმე საამქროს მოედო. ბელგიელთა და ფრანგთა ჯგუფი გარს შემოერტყა პოლიციელებს, განაიარაღა ისინი და გააფუჭა სახანძრო მანქანები. უკანასკნელი დროის განმავლობაში ესენიდან და მისი მიდამოებიდან ასობით უცხოელი მუშა გაიქცა.

4 აპრილის საღამოს ცნობა

4 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩაძირეს მტრის ტრანსპორტი 8.000 ტონაწყალწყვისა.

განვლილი კვირის მანძილზე, 28 მარტიდან 3 აპრილამდე, საჰაერო ბრძოლებში და მტრის აეროდრომებზე განადგურებულია გერმანელთა 124 თვითმფრინავი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ 73 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

3 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაანგრიეს გერმანელთა სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად. შავ ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის 3 ტრანსპორტი 13.000 ტონა საერთო წყალწყვისა, 2 კარჭაპა და 2 სატორპედო კატერი.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენი ჯარები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ. როდესაც განვლილ დღეებში წარმატებას ვერ მიაღწია, მოწინააღმდეგემ ქვეითი ბრძოლაში გამოიყვანა მოტორიზებული ქვეითი ჯარის სამი ბატალიონი და 20 ტანკი. გერმანელთა შემოტევას ეხმარებოდა დიდძალი ავიაცია. გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა იერიში. მოწინააღმდეგემ 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა მოკლულთა სახით. დაზიანებული და დაშვებულია გერმანელთა 9 ტანკი და განადგურებულია 30 ავტომანქანა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი განადგურებულია ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

ბელგოროდის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფმა ორი დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაჟლიტა. მფრინავი ქალები—უმცროსი ლეიტენანტები თამარ პამიატნიხი და რაია სურნაჩევსკაია მტრის რამდენიმე ბომბდამშენს შეხვდნენ და მათ წინააღმდეგ იერიში მიიტანეს. თამარ პამიატნიხმა ჩამოაგდო გერმანელთა 2 ბომბდამშენი. ბრძოლის დროს ამხ. პამიატნიხის თვითმფრინავი დაზიანდა, მაგრამ მან თავის ტერიტორიამდე მიაღწია და მშვიდობით დაეშვა პარაშუტით. მფრინავი ამხ. სურნაჩევსკაია მარტო დარჩა, მაგრამ ბრძოლა განაგრძო და მტრის კიდევ 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები მაგრდებოდნენ მიღწეულ ზღუდეებზე და საბრძოლო დაზვერვას ეწეოდნენ. არტილერიისა და ქვეითი იარაღის ცეცხლით გაჟლეტილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრეულია მტრის 34 ბლინდაჟი და 10 ძელმიწური საცეცხლე წერტი.

* * *

ყუბანში ჩვენი ნაწილები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 5 შენაერთის მებრძოლებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს, ერთი დასახლებული პუნქტის გარეუბანში შეიჭრნენ და ქუჩებში ეწევიან ბრძოლას. დღის განმავლობაში განადგურებულია გერმანელთა 4 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი და გაჟლეტილია 250-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რამდენიმე პარტიზანული რაზმი მარტის დამლევს გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მოწინააღმდეგის სადამსჯელო რაზმთან. ამ ბრძოლათა შედეგად პარტიზანებმა გაანადგურეს სებეჟის გარნიზონის ორი ბატალიონი, რომელიც სასწრაფოდ მოვიდა ჰიტლერელთა დამარცხებული სადამსჯელო ექსპედიციის დასახმარებლად. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ამ ბრძოლებში მარტო მოკლულთა სახით 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა. ვიტებსკის პარტიზანთა ჯგუფმა ვიტებსკ-პოლოცკის რკინიგზის უბანზე ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი. დაიმსხვრა ორთქლმავალი, 19 ვაგონი და პლატფორმა.

* * *

წითელი არმიის დარტყმების გამო უკანდახევის დროს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა მთლიანად გადაწვეს სმოლენსკის ოლქის სოფელი კოროლიოვკა. კოროლიოვკაში შესვლისას ჩვენმა მებრძოლებმა ნახეს იქ ფერფლის გროვა და ბევრი გარუჯული ვგვამი. ცოცხლად გადარჩენილმა ერთადერთმა ადამიანმა, კოლმეურნე დარია გუსაკოვამ ფაშისტი კაციჭამიების საზარელი ბოროტმოქმედებანი შესახებ სთქვა: „გერმანელმა სულთამხუთავებმა უკანდახევის წინ თავი მოუყარეს კოროლიოვკის მოსახლეობას, დაჰყვეს ისინი ჯგუფებად და დაიწყეს მათი დახვრეტა. ჰიტლერელმა მკვლელებმა მრავალი მცხოვრები სახლებში შეჰყარეს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს მათ. ვინც ცდილობდა ცეცხლმოდებული სახლებიდან თავის დაღწევას, მათ ესროდნენ. ერთი დღის განმავლობაში მტარვალებმა დაფლითეს, მოჰკლეს და დაშვეს ჩემი სოფლის ყველა მცხოვრები“.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი მარტელი

5 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური სსრ კავშირში გენერალ-ლეიტენანტი გიფორდ ლე კეინ მარტელი.

აეროდრომზე ბ-ნ მარტელს შეხვდნენ წითელი არმიის გენერალური შტაბის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ნ. ი. დუბინინი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ვ. ნ. ევსტიგნეევი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი 1-ლი რანგის კაპიტანი ი. პ. ეგიპკო, აგრეთვე ბრიტანეთის სამხედრო მისიის წევრები.

იზიუმის სამხრეთით

მოკმედი არმია, 5 აპრილი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). იზიუმის სამხრეთით გერმანელებს იერიშები მოაქვთ. საბჭოთა ნაწილები მედგრად იცავენ თავიანთ ზღუდეებს. ცალკეულ უბნებზე ჩაღდება ხელჩართული შეტაკებანი. მტრის იერიშებს წინ უსწრებს ჩვენი თავდაცვის წინა კიდის გაძლიერებული დამუშავება ჰაერიდან. ერთ უბანზე 40 წუთის დაბომბვის შემდეგ გერმანელებმა იერიშზე გადმოიყვანეს ტანკები და მოტოქვეითი ჯარი. მოწინააღმდეგის გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ პოზიციებიდან განედევნა ნ ნაწილი.

ფაშისტებს ყოველი სახის იარაღის ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ. წინა კიდის შორ მისადგომებზე არტილერისტებმა მტრის 3 ტანკი დაანგიენეს. გერმანელთა იერიში ჩაიფუშა. მარცხით დამთავრდა მტრის შემდგომი ცდებიც გაერღვია ჩვენი თავდაცვა.

დადგა საღამო. მეთვალთვალეებმა ერთ დასახლებულ პუნქტთან აღმოაჩინეს მტრის თავმოყრილი ტანკები, არტილერია და ქვეითი ჯარი. მოწინააღმდეგე თავს უყრიდა რეზერვებს ღამის იერიშისათვის. არტილერისტებმა ღია პოზიციებზე წასწიეს ქვემეხები და პირდაპირი დამიზნებით დაუშინეს თავმოყრილ ჰიტლერელებს. უეცარმა ცეცხლისმა თავდასხმამ ჩაშალა ფაშისტთა გეგმები.

დილით ბრძოლა კვლავ დაიწყო ახალი ძალით. გერმანელებმა ვიწრო უბანზე თავი მოიყარეს ერთ პოლკამდე ქვეითს ჯარს, 20 ტანკს და ზედიზედ მოიტანეს რამდენიმე ეაფთრებული იერიში, ამასთან ცდილობდნენ დასახლებულ პუნქტთან გამოსულიყვნენ. გერმანელთა მეავტომატეების ერთ-ერთმა რაზმმა მოახერხა ნ ნაწილის განლაგებაში შემოსვლა. მაგრამ მებრძოლთა მოძრავი ჯგუფი გარს შემოერტყა ყველა ჰიტლერელს და მოსპო ისინი. მოწინააღმდეგის ყოველ ცდას შემოჭრილიყო ჩვენი ნაწილის განლაგებაში საბჭოთა მებრძოლები კონტრდარტყმით უპასუხებდნენ. ჰიტლერელებს უკან დაახევინეს თავდაპირველ პოზიციებზე. ამ ბრძოლებში გაჟლეტილია ასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მტრის რამდენიმე ტანკი.

ი. ლაპოლნოგოვი

გერმანიის ავიაციის თავდასხმა როსტოვის რაიონზე

გერმანიის თვითმფრინავები ამ დღეებში ორჯერ შეეცადნენ მოეხდინათ მასობრივი თავდასხმა როსტოვის რაიონზე. ჩვენი გამანადგურებლების მოქმედებით და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მტრის თვითმფრინავები გაფანტულ იქნენ. საჰაერო ბრძოლებში და ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 35 ბომბდამშენი. ჩვენ 10 თვითმფრინავი დავკარგეთ.

გერმანიის ავიაციის თავდასხმები ლენინგრადის რაიონზე

3 და 4 აპრილს გერმანიის ავიაცია ცდილობდა თავს დასხმოდა ლენინგრადის ახლო მდებარე ობიექტებს და ქალაქ ლენინგრადს. ქალაქში შემოიჭრნენ ერთეული თვითმფრინავები, რომლებმაც უწესრიგოდ ჩამოაყარეს ბომბები, რასაც უმნიშვნელო ზარალი მოჰყვა. საჰაერო ბრძოლებში და ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 42 ბომბდამშენი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დავკარგეთ.

5 აპრილის დილის ცნობა

4 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

იზიუმის სამხრეთით 5 შენაერთის არტილერისტებმა მტრის სატანკო იერიშების მოგერიებისას დაზიანეს და დასწვეს გერმანელთა 6 ტანკი და გასწყვიტეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მეთვალყურეებმა შეამჩნიეს, რომ მტრის ბლინდაჟი მივიდა 20 გერმანელი ჯარისკაცი დაზგის ტყვიამფრქვევიანად. ქვემეხის მემზნემ ამხ. დენისოვმა სროლა ასტეხა და რამდენიმე გასროლით მოსპო მტრის ბლინდაჟი შიგ მყოფი ჰიტლერელებიანად.

* * *

ბელგოროდის რაიონში მტრის ქვეითი ჯარი თავს დაესხა ჩვენს საბრძოლო დაცვას. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს ჰიტლერელები, დაედევნენ მათ და გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. წამოღებულია თვითმავალი ქვემეხი, 8 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული შაშხანა და ავტომატი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ღამით იერიში მიიტანეს მტრის დასაყრდენ პუნქტზე. ხელჩართულ შეტაკებაში მოსპობილია 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა ააფეთქეს მტრის საომარ მასალათა საწყობი და გაჩეხეს ქვეითი ჯარის დაჯგუფება.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით მდებარე რაიონში მტრის ქვეითი ჯარის რაზმი ცდილობდა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. თოფისა და ტყვიამფრქვევის ზალპებით გერმანელები გაფანტულ იქნენ ისე, რომ ჩვენი თავდაცვის წინა კიდეს ვერ მოაღწიეს. მტერმა მოკლულთა სახით 60 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

* * *

ყუბანში 5 შენაერთის ნაწილები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა წინ წაიწიეს და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. მტერს წავართვეთ 2 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე ავტომანქანა საომარ მასალიანად და სხვა დავლა.

ოლოლუის ოლქში, გერმანელთა ბატალიონმა ბლინდაჟებით ბალრაგის სადგურზე მიერეკებოდა ატრიოტიზმი. ... 200 მცხოვრები. საკატორღო სამუშაოზე გასაგზავნად გერმანიაში. პარტიზანები თავს დესსნენ გერმანელთა ბალრაგას და გაათავისუფლეს საბჭოთა მოქალაქენი.

ლენინგრადელ პარტიზანთა რაზმმა ააფეთქა მდინარის ხიდი, მტრის საავტომობილო და საჯარისო ტრანსპორტის მოძრაობა გზის ამ უბანზე შეწყვეტილია.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები აპარტაიზებენ ბელორუსიის ქალაქებსა და დაბებს, მიწასთან ასწორებენ ბევრ სოფელს. მარტო მარტში ჰიტლერელმა ბანდიტებმა მინსკის ოლქის ცმოლევიჩის რაიონში გადასწვეს სოფლები ბაგუტა, ოდი, პრილეპი, პოგორელეი, სუტოვკი, ზარეჩიე და სხვები. ცეცხლმა მოსპო ასობით სახლი. ზოგიერთ სოფელში გერმანელმა ჯალათებმა ამოხოცეს მოსახლეობის მეტი ნაწილი. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც ტყეებში დაიმალა.

* * *

ელზასის მოსახლეობა არ დამორჩილებია გერმანელ ოკუპანტებს და გმირულ ბრძოლას ეწ

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

მეომრის თავდადებით მუშაობენ

ყვაღლის რაიონის კოლმეურნეები ლაგოდეხელთა მიმართვის საფუძველზე ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კონკურეტული ვალდებულებანი იკისრეს. მოწინავე კოლმეურნეობები საქმით ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს. ახალსოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე თ. მაზანაშვილი) შვრიის, კარტოფილის, თამბაქოს ღია კვლებში თესვის გეგმა შესასრულეს დაწესებულ ვადაზე ადრე. სოფ. ოქტომბრის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ივანიშვილი) დაწესებულ ვადაზე ადრე დამთავრა კარტოფილის, მზესუმზირის, შვრიის თესვა და შეუდგა სიმინდის თესვას.

ყვარელ, მტს-ი (დირექტორი კ. ჩინჩალაძე) წარმატებით იბრძვის წინასამაისო სოციალისტურ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მტს-მა პირველი კვარტალის ხვნის გეგმა 148 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით დაამუშავა 593 ჰექტარი. ამ საქმეში თავი ისახელეს ს. ბუთაიშვილის, გ. მირზაბეკოვის სატრაქტორო ბრიგადებმა. მეომრის თავდადებით მუშაობენ ტრაქტორისტები გ. ყუდრიშვილი, ს. ვარდიშვილი, ი. ბარძიმიშვილი, გ. პოპოვი. ტრაქტორისტმა გ. პოპოვმა გამსაკუთრებით გაადიდა შრომის ნაყოფიერება სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ. ის ცალში ხნავს 9 ჰექტარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7½ ჰექტარისა.

რაიონში მთლიანად დამთავრებულია ვენახის გასხვლა. ამჟამად მიმდინარეობს გადახვნა და შესარგა. ამ სამუშაოებში წინ არიან სოფ. შილდის ორჯონიკიძის, ახალსოფლის ლენინის, სოფ. ოქტომბრის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობები. ვენახის სამუშაოებში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა.

ნ. ხუტილაშვილი

უხვი სამხედრო მოსავლისათვის

ამბროლაური („კომუნისტის“ საკ. კორ.) კოლმეურნეები შრომის ნაყოფიერების ზრდით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმ/იფო გეგმის შესახებ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სამხედრო ტემპებით მიმდინარეობს მეორე ტოლის, სადმელის, ძირაგეულის, ყვაცხუთის, ხვანჭკარის, ღვაირის კოლმეურნეობებში.

სოფ. სადმელის კოლმეურნეობაში დროულად დაკომპლექტეს ბრიგადები და რგოლები, ბრიგადებზე მიამაგრეს სათესი ფართობი, ცოცხალი გამწევი ძალა, იარაღ-მანქანები. ეს კოლმეურნეობა წელს 9 ჰექტარით ადიდებს სათეს ფართობს. აქ კარგად უვლიან მუშაკონელს. თესლი დაყვანილია სრულ კონდიციამდე. ვაზი გასხლულია და დაბარული. სადმელის კოლმეურნეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული ყვაცხუთის კოლმეურნეობა.

ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ქობულეთელთა მიმართვის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებანი და წელს უხვი სამხედრო მოსავალი მიიღონ.

ვ. ვაჩაძე

მოწინავე ჭრაქჭორისჯები გალის მჯს-იდან

მიმდინარე წელს ჩვენს წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა—დროულად და მაღალხარისხოვნად შეეასრულოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. გალის მტს-ის კოლექტივი სერიოზულად შეუდგა ამ დავალების შესრულებას. 1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ სსრ კავშირის, სახკომსაბჭოს და საკ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მტს-ის მუშაკები უპასუხებენ ახალი საწარმოო აღმავლობით. მტს-მა წელს გეგმით უნდა მოხნას 1,000 ჰექტარი. ფაქტიურად მოხნულია 800 ჰექტარზე მეტი.

მინდვრად მუშაობს 24 ტრაქტორი. ბევრი ტრაქტორისტი სამხედრო ტემპებით მუშაობს. მაგალითად, ახალგაზრდა ტრაქტორისტი არ. ზვანბაია დღეში ხნავს 4½ ჰექტარს, ნაცვლად 2,8 ჰექტარისა, და მომჭირნეობით ხარჯავს საწვავ მასალას. ასევე წარმატებით მუშაობენ ტრაქტორისტები კ. შჩერბაკოვი, ბ. გარაბეანი, ნ. შარია, გ. ყოლბაია, ვ. ფილასინი, ვ. ჭელიძე, შ. დრაგანი.

გალის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ყულბაია

თესვა გაჩაღდა

ქუთაისის რაიონში ფართოდ გაჩაღდა მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის თესვა. თესვაში მოწინავეთა რიგებშია სოფ. გეგუთის, ოფშკვითის, კვაჭირის, გოდოგნის, ნახიდოველის, ოფურჩხეთის და საყულიის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები. სოფ. გოდოგნის კოლმეურნეობა „ახალ ნაბიჯში“ ყოველდღიურად 170 კოლმეურნე გამოდის სამუშაოზე. კოლმეურნეობა ამბროლაძე დღიურ ნორმას სამმაგად ასრულებს. სოფ. კვაჭირის რაიონჰესის სახელობის კოლმეურნეობაში წითელი ფრონტელის შეუღლე ნადია აბულაძე გადამეტებით ასრულებს დღიურ ნორმას.

სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლას“ (თავმჯდომარე იონა ფესტვენიძე) მინდვრად გატანილი აქვს 1.300 ტონაზე მეტი ნაკელი და კარგად აქვს მოვლილი ვაზი.

ფ. გვაქაბია

კოლმეურნეები პირობას ასრულებენ

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს. საგაზაფხულო თესვა გაჩაღებულია და მოწინავეთა რიგებში არიან თუზის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები. სოფ. თარაკოლის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურები დასთესეს 150 ჰექტარზე მეტი, სოფ. საზანოს და რუფოთის კოლმეურნეობებმა—200 ჰექტარზე მეტი. თესვაში დაწინაურდნენ ჩაალოვის (თავმჯდომარე მურადაშვილი), ბაკრაძის (თავმჯდომარე მაჩიტაძე), კიროვის (თავმჯდომარე მაგრაქელიძე), რუსთაველის (თავმჯდომარე ჭანტურიძე) სახელობის კოლმეურნეობები და სხვ.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჭ. სუთაძის ბრიგადა თესვის გეგმას წარმატებით ასრულებს. დამკვრელურად მუშაობს ბ. კაბითელიძის ბრიგადა. ჩუბინიძის სახელობის კოლმეურნეობაში გ. ცხელაშვილის და თალაკო კუპატაძის ბრიგადები მოწინავეთა რიგებში არიან. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ისმაილ და ივანე ბოჭორიშვილები, პარმენ წიწილაშვილი, ლადიკო სახეჩიძე, სიმონ მაჩიტიძე, სიმონ მიხელიძე ყოველდღიურ ნორმებს 150 პროცენტით ასრულებენ. კარგად მუშაობს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველი რგოლის ხელმძღვანელი, წითელი ფრონტელის ცოლი ოლია ფანჩულიძე.

დ. კაჭკაჭოვი

გეგმის შესრულება

ზაიაკოვსკი (ტელეგრაფით) მაიაკოვსკის რაიონის მშრომელები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას და იბრძვიან იმისათვის, რომ ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე პირნათლად შეასრულონ.

რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის საბჭოთა კავშირში

დეპეშები

საომარი მოქმედება ჩუნისში

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს სერატის კონცხი

ლონდონი, 4 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკელთა ჯარებმა ელ-გეტარის აღმოსავლეთით ხელთ იგდეს ახალი ტერიტორია. მოკავშირეთა ჯარების წარმატებითი შეტევის შედეგად მოწინააღმდეგემ მრავალი მოკლული და ტყვე დაკარგა. დაზვერვამ ნათელჰყო რომ 2 აპრილს ამ სექტორში არტილერიის ცეცხლით გერმანიის ბევრი ტანკი იქნა გამოყენებული მწყობრიდან.

ესენზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 4 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 3 აპრილს ღამით ესენზე თავდასხმის დროს ინგლისის თვითმფრინავებმა ქალაქს დააყარეს 900 ტონა ბომბი. დაბომბვის შედეგად კრუპის უდიდესმა სამხედრო ქარხნებმა კვლავ განიცადეს ნგრევა. ოპერაციის ერთ-ერთ ეტაპზე ესენში ყოველ წუთს 6 ორტონიანი ბომბი ეცემოდა. თავდასხმის დაწყების ნახევარი საათის შემდეგ ქალაქში კვამლის უზარმაზარი სვეტი ავარდა.

ქენევა, 4 აპრილი (საკდესი). გერმანიის სარდლობის ოფიციალურ ცნობაში, რომელიც ბერლინში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ესენზე ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმის შედეგად ქალაქს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 5 აპრილი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 4 აპრილს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავთა დიდი შენაერთი გამოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში და თავს დაესხა კილის სამხედრო-საზღვაო ბაზას და გემსაშენებს. მიზნის რაიონში რამდენიმე დიდი ხანძარი გაჩნდა. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა 12 ბომბდამშენი.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 4 აპრილს ინგლისის ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაციის თვითმფრინავებმა დიდი ოპერაციები ჩაატარეს ჩრდილოეთ საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში. ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს კანის აეროდრომზე, სენბრიეანის რკინიგზის ობიექტებზე და როტერდამის გემსაშენებზე. გამანადგურებელმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს დიეპის დოკებზე და აბვილის დამხარისხებელ სადგურებზე.

პარიზის ახლო მდებარე რენოს ქარხნებზე ამერიკის ავიაციის თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 5 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 4 აპრილს რენოს ავტომობილისა და სამხედრო ქარხნებზე პარიზის განაპირა უბანში ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმის შედეგად დანგრეულია იმ საამქროების ორი მესამედი, რომელნიც ტანკებსა და ჯავშანმანქანებს ამზადებენ. აღნიშნულია ბომბების თითქმის 500 პირდაპირი მოხვედრება.

ფიქრობენ, რომ რენოს ქარხნებისათვის მიყენებული ზარალი 400 მილიონ ფრანკს უდრის.

ინგლისისა და გერმანიის ომი კაპერში

ლონდონი, 4 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 3 აპრილს ღამით ინგლისის ავიაციამ მძლავრი კონცენტრირებული თავდასხმა მოახდინა ესენზე, ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა 21 თვითმფრინავი.

ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შეერთებულ საბჭოთა ფლოტილიებმა, ბომბდამშენებმა ღამით 21-ჯერ ჩაატარეს ოპერაცია. გამანადგურებელი ავიაციაც ყოველდღე ესხმოდა თავს მტრის ტერიტორიას.

საერთო რიცხვი გერმანელთა ბომბდამშენებისა, რომლებიც მარტში ღამით ესხმოდნენ ინგლისს თავს, ორჯერ ნაკლები იყო ინგლისელთა ბომბდამშენების იმ შეერთებებზე, რომლებიც გერმანიაზე ერთი ღამის თავდასხმაში მონაწილეობდნენ.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 4 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა იაპონიის სამხედრო ობიექტებს ტიმიკაში (ახალი გვინეის ჰოლანდიის ნაწილი), კაის კუნძულებს (ახალი გვინეის სამხრეთ-დასავლეთით) და ტენიმბერს.

კუნძულ ახალი ირლანდიის სეტტორში მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენებმა უეცარი ეფექტური თავდასხმა მოახდინეს იაპონიის სამხედრო ხომალდების დაჯგუფებაზე ქაიენგში. პირდაპირი მოხვედრით ჩაძირულია ორი კრეისერი და ერთი დიდი საესკადრო ნაღმოსანი. ორ სხვა საესკადრო ნაღმოსანს სერიოზული ზარალი მიაყენეს. სხვა ხომალდების დაბომბვის შედეგების გამორკვევა ვერ მოხერხდა.

ამ გემებზე იერიშის მიტანასთან ერთად მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ იაპონიის აეროდრომს. მტრის ავიაციას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

იუგოსლავიელ პარტიზანთა წარმატებითი მოქმედება

ქენევა, 3 აპრილი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით ბოსნიაში მოქმედმა დიდმა პარტიზანულმა რაზმებმა კვლავ დაიკავეს ქალაქი გლამოჩი. პარტიზანები აწარმოებენ ბრძოლას 150-კილომეტრიან ფრონტზე—ქალაქ ნევესინედან გორაჟდამდე. პარტიზანთა მოწინავე რაზმები მდინარე დრინს მიუახლოვდნენ და გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან ქალაქ ფოჩასთან.

პარტიზანებს, უკვე რამდენიმე კვირაა უჭირავთ ქალაქი და რკინიგზის სადგური გრაჩაცი, რომელიც ზაგრებ-სპლიტის რკინიგზაზე მდებარეობს. ოკუპანტთა ცდა დაებრუნებინათ ქალაქი მთლიანად ჩაიფუშა.

ფრანგი სამხედრო ფყვეები გერმანიიდან გარბიან

ნიუ-იორკი, „ამერიკულ ჟურნალში“ გამოქვეყნებულია ...ცისტების მიერ საფრანგეთიდან გაძევებულ ჟურნალისტ გაბრიელ ვაკერის სტატია საფრანგეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მისი სიტყვით, შიმშილმა საფრანგეთში მწვავე ფორმას მიაღწია. ვიშის მთავრობა არავითარი პოპულარობით არ სარგებლობს. მისივე საკუთარი მოხელეების 80 პროცენტი გვერდს უვლის ლავალის ყოველ განკარგულებას.

ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გახშირდა გერმანიიდან ფრანგ სამხედრო ტყვეთა გაქცევის შემთხვევა. ვაკერი პირადად ესაუბრა რამდენიმე ასეულ ასეთ გაქცეულ ტყვეს. ყველა ისინი აცხადებენ, რომ არა პარტო გლეხები, არამედ გერმანელი ჯარისკაცებიც კი დახმარებას უწევდნენ მათ გაქცევის დროს.

კიბეღერული გაზეთები სჩრიეან-გერმანიის მოსახლეობა სულით დაეცაო

სტოკჰოლმი, 4 აპრილი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ აღიარებს, რომ „მკაცრმა დარტყმებმა“, რაც გერმანიის ჯარებმა იგემეს ზამთრის კამპანიის დროს საბჭოთა კავშირ-გერმანიის, ფრონტზე, გამოიწვიეს გერმანიის მოსახლეობის მორალური სულისკვეთების დაცემა. „მრავალ გერმანელს,—აცხადებს გაზეთი, — უკვე არ ჰყოფნის სულიერი ძალა გაუმკლავდეს ბედის მუხთლობას, ამას კი შეუძლია ხალხის საბოლოო მოტეხა“.

„რაიკომის მდივანი“

საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტ-ბარბაროსთა წინააღმდეგ საბჭოთა ხელოვნების ყველაზე უფრო აქტუალური თემაა. ამ თემაზე იქმნება მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის სტალინური პრემიის დაურეატის ი. პირიელის ფილმი „რაიკომის მდივანი“, გადაღებული ი. პრუტის სცენარით.

ფილმი იწყება. ეკრანზე ხჩანს ლამაზი, ...ოლმეურნეობაში. გერმანელები ...ალიასავით მოდიან სანალრო კონებას. მიათრევენ ხორბალს, ხოცავენ ცხოველებს, სჭამენ საკოლმეურნეო საზამთროს. ეს ფაშისტურ ღრეობა უცბად სწყდება ოკუპანტთა ცხოველური პანიკით: ბანდიტებს თავს დაესხნენ პარტიზანები და ულტეენ მათ.

მშვენივრად არის ფილმში გაკეთებული ფაშისტი ჯაშუშის შეპყრობის სცენა. ჯაშუშმა თითქოს მოახერხა და პარტიზანები ფაშისტების გარემოცვაში მოაქცია. მაგრამ მალე გამოირკვევა, რომ გარშემორტყმულნი სწორედ ფაშისტები არიან. ჯაშუშს კი, რომელიც ხაფანგში მომწყვდეულ მხეცივით აქეთ-იქით ეხეთქება სამრეცლის პატარა ბაქანზე, პარტიზანი ნატაშა ტყვიით გადმოაგდებს ძირს.

ფილმი „რაიკომის მდივანი“, რომელიც ასე დამაჯერებლად ასახავს პარტიზანთა გმირულ პრძოლას გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ, დამსახურებულად სარგებლობს საბჭოთა მაყურებლის საერთო მოწონებით.

გ. რიონელი

მომგებიანი ანაბრების პირველი ჯირაჭი

11 აპრილს, დღის 5½ საათზე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესდგება საქართველოს შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების პირველი ტირაჟი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულია სატირაჟო კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. კ. ციმაკურიძე (თავმჯდომარე), საქ. სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული სამმართველოს უფროსი ამხ. ა. პეტროსიანი (თავმჯდომარის მოადგილე), ამხ. ა. შტეინბერგი (კომისიის პასუხისმგებელი მდივანი), კომისიის წევრები: ამხ. ს. დოლაძე, გ. იმნაიშვილი, ა. ჯორბენაძე, ი. ვოლკი, აკადემიკოსი გ. ახალდიანი, გ. პაპარიგა, ნ. ჩოხელი, ლ. მაკავარიანი და ა. სიამაშვილი.

ტირაჟზე დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

ლ. გვარამაძის კონცერტი

აიხადა ფარდა და მაყურებლის თვალწინ ლამაზი სანახაობა წარმოსდგა. სცენის სიღრმეში ყვარცხლბეკზე დგას ქალის ქანდაკება—გალატეა, ხოლო ყვარცხლბეკთან — თავის ქმნილებაზე შეყვარებული მოქანდაკე პიგმალიონი. ეს ბერძნული მითი, უდიდესი ოსტატობით გაცოცხლებული ლისტის მუსიკაში, დიდი ექსპრესიითა და გემოვნებით განსახიერეს სცენაზე საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლილი გვარამაძემ და მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტმა ნ. ლიხაჩევმა.

ამ ნომრით დაიწყო 4 აპრილს ლ. გვარამაძის შემოქმედების საღამო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ლ. გვარამაძემ მისთვის ჩვეული ოსტატობით შეასრულა მთელი რიგი კლასიკური ციკვები: რიმსკი-კორსაკოვის „შეხვედრა“, ჩაიკოვსკის ვალსი „კარნავალზე“, მაგნუსის მარში (სოლო), სარასანის „ბოშური ციკვა“, ხალხურ-ტაჯიკური ციკვა. ლ. გვარამაძის ღირსეული პარტნიორი აღმოჩნდა ნ. ლიხაჩევი.

კონცერტში მონაწილეობდნენ და წარმატებით ასრულებდნენ ნომრებს აგრეთვე ლ. შიუკაშვილი (ვიოლინო), სტოიანოვა (აკორდეონი), ლ. ვრუბლევსკაია (მხატვრული კითხვა) და თ. ბახტაძე (სიმღერა).

საღამო წარმატებით ჩატარდა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დარბაზში არ იყო წესრიგი. ეს იმით აიხსნება, რომ საკონცერტო დარბაზის ადმინისტრაცია წესრიგის დამყარებაზე არ ზრუნავს.

გ. ნუცუბიძე

„ხანუმა“ სამგრედიის თეატრში

სამტრედიის საკოლმეურნეო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ა. ცაგარლის კომედია „ხანუმა“. პიესა დასდგა ვ. ვარდოშვილმა. ხანუმას როლს ასრულებდა ამ დადგმისათვის სპეციალურად მოწვეული რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. ჩერქეზიშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდა აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ლოლუა.

ლ. გოდუაძე

„ციხის საიდუმლო“ ჭიათურის თეატრში

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის თეატრმა მორიგ პრემიერად დასდგა ა. სუმბათაშვილის „ციხის საიდუმლო“. პიესა დასდგეს ს. ცომაიამ და მ. ვაშაძემ. მთავარ როლებს ასრულებენ: მ. ვაშაძე, გ. ტყაბლაძე, მ. კუსიანი, გ. ნუცუბიძე, ფ. დურმიშიძე, ბ. რომანიშვილი, შ. ბანერიშვილი და სხვ.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

კისელი და კომპოტი გარეული ნაყოფიდან

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სარეწაო კომბინატი ფართოდ იყენებს გარეულ ნაყოფს, კვების პროდუქტების დასამზადებლად. ამას წინათ კვების საამქრო შეუდგა კისელისა და კომპოტის დამზადებას ტყის ვაშლისა, მსხლისა და შვინდისაგან. მეორე კვარტალში გამოშვებული იქნება 300 ტონა კისელი და კომპოტი.

1943 წელს კომბინატს განზრახული აქვს დანდურის, ეკალასი და აკაციის მწნილის გამოშვება. (საქდესი).

ლუქციები ჯ მოხსენებები

7 აპრილს, საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის № 1 აუდიტორიაში (ბელიაშვილის ქ. № 16) შესდგება პროფ. **შ. ნუცუბიძის** ლექცია, თემა: „**გმირობის იდეა ქართულ მითოლოგიაში**“. დასწრება თავისუფალია.

7 აპრილს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. ბ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 4) აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. **ბაკრაძისა** და **ნოლიანიხის** საუბარი რუსულ და ქართულ ენებზე. თემა: „**ფართოდ გავშალოთ წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება**“.

თეატრებში

7 აპრილს: სახოპერა—„ეგენი ონეგინი“. **რუსთაველის სახელობის** — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „კოლმეურნის ქორწინება“. **გრიბოედოვის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩი“. **სამხატვრო თეატრი** — „დიდად პატივცემული მათხოვრები“. **ახუნდოვის სახელობის**—„ვაგიფი“. **მუსიკალური კომედიის** — „სილვა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„სურამის ციხე“. **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი**—„ტომ სოიერის თავგადასავალი“. **მოზარდ მაყურებელთა ხომალდური თეატრი**—„ჩაპაევი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტის“ მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი იუწყება რედაქციის თანამშრომლის ამხ. გ. მერკვილაძის დედის
თებრონე მერკვილაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/IV სოფ. ჯონიაში (ტყიბულის რ.).

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია-გამომცემლობის ადგილკომი იუწყება თანამშრომლის მამა ბურდულის ბიძაშვილის შვილის
ცოლა გერასიმეს-ასულ ქერესელიძის
გარდაცვალებას.

თბილისის აბრეშუმსაქმოები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ქვეოსტატ ნადია ფარცხალაძის მამის
სიმონ ფარცხალაძის
გარდაცვალებას. 712

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების კოლექტივი იუწყება ადგილკომის თავმჯდომარის
თამარ ლუკას-ასულ კვანტალიანის
გარდაცვალებას. 713

ა.-კ. რკინიგზის ბუფეტების ტრესტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან
ნესტორ გიორგაძის მამის
ასლო ესეს-ძე ბიოკრბაძის
გარდაცვალებას. 714

საქ. უმაღლეს სასამართლოს თანამშრომლები იუწყებიან საქ. უმაღლეს სასამართლოს წევრის ი. კაპანაძის მამის
ედიშერ კაპანაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/IV სოფ. ტყემლოვანში. 719

თბილჯანგანის ბავშვთა საავადმყოფოს ადმინისტრაცია იუწყება, რომ 6/IV, ქ. ონში დანიშნულია
სანდრო ეგნატეს-ძე ბუზიანიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 708

თბილისის სტატისტიკური სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან
გიორგი (ფორა) იოსების-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/IV, 5½ ს. საავადმყოფოდან, კამოს ქ. № 59, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 707

თბილისის მოლოტოვის სახ. რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან
გიორგი (ფორა) იოსების-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/IV, 5½ ს. საავადმყოფოდან, კამოს ქ. № 59, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 709

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის თანამშრომლები იუწყებიან
შ. ჭუმბურიძის დედის
ადათი მალაქიას-ასულ ჭუმბურიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჯ. ეწერში. 57

საქენერგოს ენერგოგასაღების თანამშრომლები იუწყებიან ელექტროინსპექციის უფროსის, ინჟინერ ნ. გელაშვილის მამის
დავით პეტრეს-ძე გელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში 6/IV. გამოსვენება 8 მარტის ქ. № 4. 710

თბილისის მე-7 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები იუწყებიან ამავე კლასის მოსწავლის ნათელა ფარცხალაძის მამის
სიმონ ფარცხალაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/IV, საღ. 6 ს. ბრძოლის ქ. № 39 კუკიის სასაფლაოზე. 711

თბილისაბკვებტრესტის თანამშრომლეთა კოლექტივი იუწყება საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისრის ნ. გიორგაძის მამის
ასლო ესეს-ძე ბიოკრბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/IV სოფ. გუთურში (ჩოხატაურის რაიონი). 717

პარტიკალენდარი

საქ. კ. ბ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. ბ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3095223, გაცემული საქ. კ. ბ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მიერ ეკვენია პლატონის-ასულ ჩხეიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. ბ. (ბ) წყალტუბოს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2849563, გაცემული ალექსანდრე მიხეილის-ძე კუტივაძის სახელზე, და საკ. კ. ბ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3079159, გაცემული გალაქტიონ ნესტორის-ძე ხარაბაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. ბ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3300435, გაცემული საქ. კ. ბ. (ბ) გალის რაიკომის მიერ ნინო ივანეს-ასულ ანიკინას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „სტალინგრადი“, **ოქტომბერი**—„რაიკომის მდივანი“, **დამკვრელი**—„პარტიული ბილეთი“, **კომკავშირელი** — „69-ე პარალელი“, **სპარტაკი**—„ცირკი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„ასი კაცი და ერთი ქალაშვილი“, **26 კომ. სახ.**—„მხედრები“, **კომინტერნი**—„დაბრუნება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მ. ი. კალინინი

ყველაფერი მჯერზე გამარჯვებისათვის

ოცდამეორე თვეა, რაც საბჭოთა ხალხი ეწევა გაფფარებულ, სისხლისმღვრელ ომს გერმანელ ფაშისტებთან, ომს, რომლის ბადალი მსოფლიოს არ უნახავს. ჰიტლერი და მისი სამხედრო ხროვა თვითდამედებულნი ფიქრობდნენ ჩაეტარებინათ „ბლიც-კრიგი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ე. ი. დაემთავრებინათ ომი სულ მოკლე ხანში, ელვისებურად.

მაგრამ საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა წითელმა არმიამ მაგრად დაარტყეს თავაშვებულ მტერს. ჰიტლერი ომის განმავლობაში უკვე ორჯერ იყო იძულებული ეღიარებინა, რომ გერმანელ ფაშისტთა არმია ძაფის მანძილზე იყო კატასტროფიდან: პირველად—მოსკოვთან, მეორედ—სტალინგრადთან. მე ვფიქრობ, ის ძაფი, რომელმაც ჰიტლერული არმია სტალინგრადთან მისი დამარცხების შემდეგ იხსნა, გაცილებით უფრო წვრილი იყო, ვიდრე მოსკოვთან დამარცხების შემდეგ. აშკარაა, მესამედ იგი ვერ აიტანს და გერმანიის არმია, მიიღებს რა დამსახურებისამებრ, ჩაგორდება მის მიერვე გათხრილ უფსკრულში.

არ გამოუვიდათ გერმანელებს ელვისებური ომი საბჭოთა კავშირთან. იგი ხანგრძლივ, მეომარი ქვეყნების ხალხთა მომქანცველ ომად გადაიქცა. ჰიტლერს ახლა იმედი აქვს ილაჯის გაწყვეტით მოიგოს ომი, ე. ი. ფიქრობს მოიგოს ისეთი ომი, როგორიც გერმანიის სარდლობას წინათ მიაჩნდა გერმანიისათვის ყველაზე არახელსაყრელად, ხოლო გამარჯვებისათვის—თითქმის უიმედოდ.

რის ვარაუდი აქვს ამჟამად ჰიტლერს? ის ვარაუდობს, რომ ტოტალური მობილიზაციით შესძლებს გაძარცვოს მთელი ოკუპირებული ევროპა და ამით აღადგინოს არმიის შეფერთხილი მატერიალური ნაწილი. შეაგროვოს ადამიანები ყველგან, სადაც კი შეიძლება, და გაგზავნოს ისინი გერმანიის არმიის რიგებში. ჰიტლერი ვარაუდობს, რომ გერმანელთა ნერვები მის მოწინააღმდეგეთა ნერვებზე უფრო მაგარი აღმოჩნდება, ის ფიქრობს, რომ ჩვენი მატერიალური მდგომარეობა დიდ ხანს ვერ აიტანს ესოდენ ძლიერ დაძაბვას.

ჰიტლერი აზარტული მოთამაშეა, პირველ ხანებში მას ბედი სწყალობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმის დღიდან ეს ბედი სულ უფრო და უფრო ღალატობს მას. გერმანიის არმიები სულ უფრო და უფრო ხშირად ვარდებიან მძიმე და კატასტროფულ მდგომარეობაშიც კი. და გამოსავლის ძებნაში სულ უფრო და უფრო იჩენს, თავს ჰიტლერულ მესვეურთა ავანტიურიზმი. ჩვენი ამოცანაა ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ჰიტლერის მიერ წამოწყებული არც ერთი ავანტიურა არ განხორციელდეს. ჩვენი წითელი არმიის განსაკუთრებული გმირობისა და მამაცობის, მისი ხელმძღვანელობის, ფაშისტთა ვარაუდი „ბლიც-კრიგზე“ (ელვისებურ ომზე) ისტორიის ს